პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საყ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 16 დეკემბერი, 1942 წ. № 296 (6612). ფასი 15 კაპ.

წითელი არმია უდიდეს ზარალს აყენებს მტერს

უდიდესი აუარადღებით აღევნებს თვალყურს საბჭოთა ხალხი იმ გიგანტური ბრძოლის მსვლელობას, რომელიც უკანასკნელ დროს სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე გაჩაღდა. საბჭოთა კავშირგარეთის ომის ასპარეზის ორივე კიბეზზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწევიან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს კომუნიკე, რომელიც დღეს ქვეყნდება, წარმოდგენის იძლევა გაჩაღებული ბრძოლის მასშტაბზე და გვიჩვენებს უდიდეს ზარალს, რაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ მოუვიდათ ჩვენი ჯარების წარმატებით შეტევის შედეგად.

საბჭოთა კავშირთან ომი სისხლისმღვრელი ხორცსაკეპი აღმოჩნდა ჰიტლერელთა დივიზიებისათვის. გერმანელ ამპერიალისტთა ვარაუდი ჩქარი და იოლი გამარჯვების შესახებ სავსებით ჩაიფუშა. გაკოტრდა აგრეთვე ჰიტლერელთა სარდლობის ცდები ამა წლის ზაფხლისში მოეხდინათ „გადამწყვეტი, ძლევამოსილი“ შეტევა. ომის განმავლობაში წითელმა არმიამ მწყარიდან გამოიყვანა მტრის 8 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. და ბრძოლის ყოველ ახალ დღეს ჰიტლერელებისათვის ახალი საშინელი ზარალი მოაქვს.

ფაშისტური არმიების მთელი გზა აღმოსავლეთისაკენ აღნიშნულია მოკლული ჯარისკაცებისა და ოფიცრების ჯვრებითა და სფფლებით, ფაშისტური ტანკებიკენ ჯარითი. წოდელი არმიის შეტევითი ოპერაციების დღეთა განმავლობაში ეს ზარალი ძალიან სერიოზულად გაიზარდა. როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს იუწყება, სტალინგრადის რაიონში სამი ეკერის ბრძოლების განმავლობაში ჩვენი ჯარების მიერ წამოიღებულია და მოსმპობილია 737 თვითმფრინავი, 2.058 ტანკი, 3.068 ქვემეხი, ტყვიამფრქვევთა, ნაღმსატყორცნთა, ავტომანქანათა და სხვა სამხედრო ქონების უდიდესი რაოდენობა. მარტო მოკლულთა სახით მტერმა 94.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. გარდა ამისა, ტყვედ წამოყვანილია 72.400 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამდენადვე დიდია ცენტრალურ ფრონტზე გერმანელთათვის მიყენებული ზარალი. ნახევარი თვის განმავლობაში ჰიტლერელთა იმ არმიის საუკეთესოდან, რომელიც ელეიელეკოსა და რეკეის რაიონში მოქმედებს, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს და მოსპეს 200-ზე მეტი თვითმფრინავი, 610 ტანკი, 1.091 ქვემეხი, 2.283 ტყვიამფრქვევი და ბევრი სხვა სამხედრო ტექნიკა. ამ ხნის განმავლობაში, არასრული ცნობების მიხედვით, მოკლეთა 75.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი; ტყვედ წამოყვანილია 2.100 ჯარისკაცი და ოფიცერი.

წითელი არმია აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს მტერს.

ფაშისტი ბარბაროსები იწყებენ იმის შეგნებას, რომ დანაშაულებრივი ჰიტლერული ხროვის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებული ომი მათთვის საკეთით არ დამთავრდება. მეზარე განწირულებთ ვაისმის ხმა გერმანელთა 216-ე ქვეითი პოლკის ოფიცერეფიცერების ვილი ზიპმანის, გუსტავ შტიმპატეერისა და ჯარისკაც ჰენრიხ კეენისა, რომლებიც ტყვედ არიან წამოყვანილნი ცენტრალური ფრონტის ერთ-ერთ უბანზე: „ახლა ყველას ესმის, რომ რუსები თავს მოგაბეზეზენ ბრძოლებს და არ მოგვცემენ მოსვენებას. ამას წინათ ასეულებში წაიკითხეს ჰიტლერის ბრძანება—„უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლეთო. ეს ბრძანება ჩვენ ისე მოვისმინეთ, როგორც ცენტრალურ ფრონტზე გერმანელთა ჯარებისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი“.

გერმანელთა დივიზიები სასოწარკვეთილ ღონისძიებებს ხმარობდნენ სტალინგრადის ხელშ ჩასაგდებად. მაგრამ ვოლგის სიმაგრე მათ ყელში გაეხრიან. სტალინგრადისათვის მარტო პირველი ორი თვის ბრძოლების განმავლობაში ქალაქის მისადგომებზე სამოფამდე დაეცა 100.000-ზე მეტი გერმანელი, იტალელი და რუმინელი. გერმანელთა 1.000 თვითმფრინავი, 800-მდე ტანკი სტალინის ქალაქის მამაცი დამცველების ღონისძიებებით უფროსმა ჯართთან იქნა ქ

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

იბრძვიან შეჯიბრებაში პირველობისათვის

№ 4 ქარხანა წარმატებით იბრძვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ნოემბრის გეგმა მან ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა. წლიური გეგმა კი ქარხანას ჯერ კიდევ 13 ოქტომბრისათვის ჰქონდა შესრულებული.

სოციკეთესო შედეგებს მიაღწია საზღვინკლო საამქრომ (უფროსი ს. მარაბელი), რომელმაც ნოემბრის სპეციალური დავალება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. სტახანოვური შრომის მაგალითები გვიჩვენეს და ახალი წარმატებები მოიპოვეს ვალიანოვმა, პონუროოსკიმ, ბათმანოვმა, ადამიანმა, პოლიანსკიმ და სხვებმა, რომელთა დღიური გამომუშავება 2,5—3 ნორმას უდრის.

გეგმის გადამეგზებით 330.000 მანეთის პროდუქცია

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა **თბილისის კინოაპარატის № 4 ქარხანამ** ნოემბრის გეგმა ნატურით დიდი გადაჭარბებით შეასრულა. გარდა ამისა, ნოემბერში დაზოგა 188.500 მანეთის ძირითადი ნედლეული და დამზადა მასალა. ქარხნის კოლექტივმა დეკემბერში კიდევ უფრო გაამჯობესა მუშაობის ტემპები, პირველი დეკადის გეგმა 181,1 პროცენტით შეასრულა.

ამრიგად ქარხანამ, რომელმაც წლიური დავალება ჯერ კიდევ 16 ოქტომბარს გაანაღდა, გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას, და ფრონტს მისცა 330.000 მანეთის პროდუქცია.

სოციალისტიბრძოლა წარმატებათა ერეოთვისათვის

ᲨᲘᲐᲗᲣᲠᲐ („კომუნისტის“ საკ. კორ.). საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში წარმატებათა მოპოვებისათვის სსრ კავშირის, ზაეკავტომობილთა სახალო კომისარიატის სიგნალებთა და წარჩინების ფურცლებით დაჯილდოვა ჭიათურის მარგანეტყლის მთავარი მექანიკოსი ამხ. ნ. სამტაძე. ამ ლენინელ, ორმოცდაათ ნაბიჯ-ზე ... ...